

რწმუნებულის ადმინისტრაციაში "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის" წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა მოენყო

23 ივნისი 2023

შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა.

შეხვედრას სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე აბიკო აბესაძე, ადმინისტრაციის აპარატის ხელმძღვანელი ქეთევან ციმაკურიძე, რეგიონის მუნიციპალიტეტების მერები, ა(ა)იპ "საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგის" სოფლის ექიმების პროგრამის ხელმძღვანელი მინდია ლლონტი, ამავე პროგრამის შიდა ქართლის რეგიონალური კოორდინატორი თამარ მელიქია და სამინისტროს ჯანდაცვის პოლიტიკის დეპარტამენტის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მხარეებმა ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე, ამ მხრივ განხორციელებულ ღონისძიებებზე, სამომავლო გეგმებსა და არსებულ გამოწვევებზე ისაუბრეს. ასევე, განიხილეს სამედიცინო ინფრასტრუქტურის, მედპერსონალისა და ბიუჯეტის საკითხები.

შეხვედრაზე ხაზი გაესვა პროცესში მუნიციპალიტეტების თანამონაწილეობას. აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ჩართულობის გაზრდა პირველადი ჯანდაცვის დონეზე არსებულ ღონისძიებებში უმნიშვნელოვანესია.

შეხვედრის ბოლოს მხარეები კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობაზე შეთანხმდნენ.